მემორანდუმი
ფიზიკური პირების შემოსავლების შესახებ მონაცემების მიწოდების თაობაზე

ქ. თბილისი 24 ივნისი 2019 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში – „სააგენტო"), წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თამაზ მოდებაძის მიერ, და მეორე მხრივ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ შემოსავლების სამსახური (შემდგომში – „სამსახური"), წარმოდგენილი სამსახურის უფროსის, ვახტანგ ლაშქარაძის მიერ,

შემდგომში ერთობლივად წოდებულნი, როგორც - მხარეები, ხოლო ცალ-ცალკე - როგორც - მხარე,

ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ", „გ" და „თ" ქვეპუნქტებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ო" ქვეპუნქტით, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების მე-4 მუხლის „ი[2]" ქვეპუნქტით და 4[2] მუხლის მე-2 პუნქტით, ამავე დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის" (დანართი №1) მე-2 მუხლის 3[3] და 3[4] პუნქტებით, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ." და „ა.დ." ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის 1[1], 1[2] და 1[3] პუნქტებით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის №01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების" მე-2 მუხლის პირველი პუნქტით,

წინამდებარე მემორანდუმის (შემდგომში – მემორანდუმი) გაფორმებით, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

მემორანდუმის საგანია „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით (შემდგომში - დადგენილება) გათვალისწინებული პროგრამის ადმინისტრირების მიზნებისათვის, „სამსახურის" მიერ დამუშავებული ფიზიკური პირების შემოსავლების შესახებ მონაცემების მიწოდება (ინფორმაციაზე წვდომა) „სააგენტოსათვის", წინამდებარე მემორანდუმით და დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში, „სამსახური" კისრულობს ვალდებულებას:

2.1.1. ამ მემორანდუმის პირველი მუხლის შესაბამისად, ყოველი თვის 23 (ოცდასამი) რიცხვში, მიაწოდოს „სააგენტოს" ამ მემორანდუმის №1 დანართით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შემდეგი ინფორმაცია:

2.1.1.1. იმ პირების შესახებ, რომელთა დადგენილებით განსაზღვრული წლიური შემოსავალი არის 40000 (ორმოცი ათასი) ლარი და მეტი;

2.1.1.2. იმ პირების შესახებ, რომელთა დადგენილებით განსაზღვრული წლიური შემოსავალი არის 40000 (ორმოცი ათასი) ლარზე ნაკლები და დადგენილებით განსაზღვრული ყოველთვიური შემოსავალი 1000 (ათასი) ლარი და მეტი;

2.1.2. უზრუნველყოს „სააგენტოსათვის" მიწოდებულ და ინფორმაციის მიწოდების მომენტისათვის „სამსახურის" ელექტრონულ ბაზაში დაცულ ინფორმაციას შორის ურთიერთშესაბამისობა;

2.1.3. მაქსიმალურად შეუწყოს ხელი და არ დაუშვას რაიმე დაბრკოლების შექმნა „სააგენტოსათვის" მონაცემების მიწოდების დროს, გარდა მოქმედი კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა;

2.1.4. საჭიროების შემთხვევაში, გამოყოს „სააგენტოსთან" საკონტაქტო პირი;

2.1.5. ამ მუხლის 2.1.1. პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია განათავსოს მის სარგებლობაში არსებულ ინფრასტრუქტურაზე და უზრუნველყოს „სააგენტოსათვის" მისი შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა;

2.1.6. განიხილოს „სააგენტოს" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულ ურთიერთობებს, აღნიშნულის თაობაზე „სააგენტოს" მომართვიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

2.2. „სამსახური" უფლებამოსილია:

2.2.1. შეაჩეროს მონაცემების მიწოდება „სააგენტოსათვის", თუ ეს განპირობებულია მისი ტექნიკური ინფრასტრუქტურის ცვლილების ან/და არსებული ხარვეზის გასასწორებლად, რის თაობაზეც აცნობებს „სააგენტოს";

2.2.2. შეწყვიტოს მონაცემების გაცემა, თუ მისთვის ცნობილი გახდა „სააგენტოს" მიერ 2.1.1. პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების არამიზნობრივად გამოყენების ფაქტი.

2.3. საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში, „სააგენტო" კისრულობს ვალდებულებას:

2.3.1. მემორანდუმის 2.1.1. პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები (ინფორმაცია) გამოიყენოს მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით;

2.3.2. არ დაუშვას მიღებული ინფორმაციის გადაცემა მესამე პირზე, ან ნებისმიერი სხვა ფორმით გამჟღავნება, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „სააგენტოს";

2.3.3. „სამსახურის" მიერ მოწოდებულ მონაცემებში არ შეიტანოს რაიმე ცვლილება ან/და კორექტირება;

2.3.4. საჭიროების შემთხვევაში, გამოყოს „სამსახურთან" საკონტაქტო პირი;

2.3.5. განიხილოს „სამსახურის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულ ურთიერთობებს, აღნიშნულის თაობაზე „სამსახურის" მომართვიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა;

2.3.6. შესაძლებლობის ფარგლებში, ხელი შეუწყოს „სამსახურს" ამ მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში.

2.4. „სააგენტო" უფლებამოსილია:

2.4.1. მოსთხოვოს „სამსახურს" ამ მემორანდუმით გათვალისწინებული მონაცემების (ინფორმაციის) დროული მიწოდება, მხარეთა შორის შეთანხმებული და დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

2.4.2. გამოიყენოს მოწოდებული ინფორმაცია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

მუხლი 3. დავის გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო.

მუხლი 4. ფორს-მაჟორი

4.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ მემორანდუმის შესრულებაზე. მემორანდუმის შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორის გამომწვევ გარემოებათა დასრულებამდე.

4.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აცნობებს მემორანდუმის მეორე მხარეს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს, რის შემდეგაც, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორს-მაჟორის გაგრძელების ვადით ან მემორანდუმი შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 5. მემორანდუმის მოქმედების ვადა, ცვლილებების და შეწყვეტის პირობები

5.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

5.2. წინამდებარე მემორანდუმი ვრცელდება „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №208 დადგენილების ამოქმედებიდან (2017 წლის 1 მაისიდან) წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

5.3. წინამდებარე მემორანდუმის პირობების შეცვლა დასაშვებია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

5.4. მემორანდუმის თითოეული მხარე უფლებამოსილია, შეწყვიტოს მემორანდუმი შეწყვეტის თარიღამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების მემორანდუმის მეორე მხარისათვის გაგზავნის გზით.

მუხლი 6. სხვა პირობები

6.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

6.2. მემორანდუმის მხარეები ვალდებულნი არიან, გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

6.3. მხარეები ვალდებულნი არიან, დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

6.4. მემორანდუმის მხარეებს არა აქვთ უფლება, გააკეთონ საჯარო განცხადება მეორე მხარის მიერ მემორანდუმის ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა.შ. შესახებ, თუ არ მოხდა შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

6.5. წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, შეტყობინების გაგზავნა და ა.შ. შესაძლებელია განხორციელდეს წერილის გაგზავნის, ელექტრონული ფოსტის ან/და სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

6.6. მემორანდუმის რომელიმე პუნქტის/ქვეპუნქტის გაუქმება/ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად მემორანდუმის გაუქმებას/ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი გაუქმებული/ბათილი პუნქტის/ქვეპუნქტის გარეშეც.

6.7. წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ვადის უქმე ან დასვენების დღეებზე დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობა უნდა შესრულდეს არაუგვიანეს დადგენილი ვადის მომდევნო სამუშაო დღეს.

6.8. წინამდებარე მემორანდუმი გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე მემორანდუმით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს

მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, დადგენილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

6.9. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. მემორანდუმის თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

მუხლი 7. მხარეთა რეკვიზიტები

„სამსახური“	„სააგენტო“
სსიპ შემოსავლების სამსახური	სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო
ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №16	ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №144
საიდენტიფიკაციო ნომერი 204525585	საიდენტიფიკაციო ნომერი 202178927
ვახტანგ ლაშქარაძე	თამაზ მოდებაძე
სამსახურის უფროსი	სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი №1

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის გადასაცემი ინფორმაცია მოიცავს ფიზიკური პირის კატეგორიას, რომელიც განისაზღვრება მათ მიერ მიღებული დასაბეგრი შემოსავლების მიხედვით.

კატეგორიების განსაზღვრა ხდება სსიპ შემოსავლების სამსახურში საანგარიშო პერიოდში წარდგენილი „საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ ინფორმაციის“ და „საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის“ მიხედვით.

შემოსავლის განსაზღვრისას მხედველობაში ასევე მიიღება: მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირების სპეციალური რეჟიმით დაბეგვრისათვის წარდგენილი მონაცემები, არასამეწარმეო/არაეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების/სარგებლის და კუთვნილი საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშების შესახებ მონაცემები და ფიზიკური პირის მიერ საქართველოში არსებული დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციიდან ან/და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოდან მიღებული ხელფასის შესახებ მონაცემები, რომელიც არ დაიბეგრა გადახდის წყაროსთან.

I კატეგორია - დასაბეგრი წლიური შემოსავალი აღემატება 40000 (ორმოცი ათასი) ლარს.

კატეგორიის განსაზღვრა - სამსახურის მიერ სააგენტოსათვის ინფორმაციის მიწოდების მომენტისათვის წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის (ბოლო დაზუსტებული) „საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ ინფორმაციით“ და ბოლო „საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის“ (წინა ორი საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით) მიხედვით წარმოდგენილი (ბოლო საანგარიშო პერიოდის ბოლო დაზუსტებული) დასაბეგრი შემოსავლ(ებ)ის ჯამი მეტია 40 000 ლარზე. ამასთან, მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირთათვის წლიური დასაბეგრი შემოსავალი განისაზღვრება ერთობლივი შემოსავლით (რომელიც არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით), კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო შეღავათების და წინა წლების ზარალის გამოქვითვის გარეშე და სხვა წყაროებიდან მიღებული იმ დასაბეგრი შემოსავლის (მ.შ., ხელფასის სახით) ჯამით, რომელიც არ მიეკუთვნება მიკრო ბიზნესის სპეციალური რეჟიმით დასაბეგრ შემოსავალს, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირისათვის - სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული დასაბეგრი შემოსავლის 25%-ისა და სხვა წყაროებიდან მიღებული იმ დასაბეგრი შემოსავლის (მ.შ., ხელფასის სახით) ჯამით, რომელიც არ მიეკუთვნება მცირე ბიზნესის სპეციალური რეჟიმით დასაბეგრ შემოსავალს.

დარჩენილი სიმრავლიდან ხდება II კატეგორიის განსაზღვრა.

II კატეგორია - დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატება 40000 (ორმოცი ათასი) ლარს და საშუალო ყოველთვიური შემოსავალი შეადგენს არა ნაკლებ 1000 (ათასი) ლარს.

კატეგორიის განსაზღვრა - „საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის" (წინა ორი საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით) მიხედვით წარმოდგენილი (ბოლო საანგარიშო პერიოდის ბოლო დაზუსტებული) დასაბეგრი შემოსავალი შეფარდებული 12 თვეზე, დამატებული წინა უწყვეტი 3 კალენდარული თვის (ბოლო დაზუსტებული) „საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ ინფორმაციით" დასაბეგრი შემოსავლის ჯამი შეფარდებული 3 თვეზე მეტია ან ტოლია 1000 ლარზე.

მისაწოდებელი მონაცემები:

ფ/პირის პირადი ნომერი	კატეგორია